ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №54

09 ოქტომბერი, 2025 წელი
15:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე და გურამ ოქროპირიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

თანამდებობა: ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი

2. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

თანამდებობა: ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ, ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი,** რომელიც შეეხებოდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსს, სერგო ბირკაძეს, რომლის განცხადებით, „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის №1098 განკარგულებით საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტებს შორის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხორციელების შესახებ გასაფორმებელი

ტიპური ხელშეკრულება. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, 2025 წლის 11 ივლისს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ხელი მოეწერა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვა) განცხორციელების უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, დელეგურებული უფლებამოსილების სახით, განახორციელებს საჯარო სკოლების შენობასა და სკოლის გარე ტერიტორიაზე შესასრულებელი მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოებს (მშენებლობა/რეაბიიტაცია/აღჭურვა), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის №146 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის №1173 განკარგულებით 2025 წლის 24 იანვრის №146 განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლის მიხედვით მოწონებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და მუნიციპალიტეტებს (გარდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მუნიციპალიტეტებისა) შორის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე გასაფორმებელი ტიპური ხელშეკრულება. აღნიშნული განკარგულების გამოცემის შემდეგ, 2025 წლის გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი 23 ივლისს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ხელი მოეწერა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად სამინისტრო, 1 (ერთი) წლის ვადით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, დელეგირებული უფლებამოსილების სახით, გადასცემს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებას და მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით მასზე დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზემოხსენებული ხელშეკრულებების თანახმად, დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი ფინანსური რესურსი გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის, მიზნობრივი ტრანსფერის გადაცემის გზით.

გარდა ამისა, განათლებისა და კულტურის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილება შევიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში და ჩაემატოს „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 24 იანვრის N146 განკარგულება და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 29 სექტემბრის N25.1631.1838 განკარგულება.

პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1.ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, დამტკიცდეს:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ ხელშეკრულება და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 23 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე;

ბ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხორციელების უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ ხელშეკრულება და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 11 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მე-3 პუნქტის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცემიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები გამოთქვეს: კახაბერ ლაბუჩიძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	**5**
წინააღმდეგი	**0**
თავი შეიკავა	**0**

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს და მხარს უჭერს შენიშვნების გათვალისწინებით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის რიგი უფლებამოსილებების დელეგირების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ქ. თბილისის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსს, სერგო ბირკაძეს, რომლის განცხადებით, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 სექტემბრის №1604 განკარგულებით საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებულ იქნა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გასაფორმებელი, ამავე განკარგულების დანართით გათვალისწინებული ტიპური ხელშეკრულება. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, 2025 წლის 6 ოქტომბერს, საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ხელი მოეწერა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, დელეგირებული უფლებამოსილების სახით, განახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შენობების ნაწილობრივი რეაბილიტაციას, მათ მხარდაჭერას პოსტავტორიზაციის პროცესში, ავტორიზაციის სტანდარტებთან (ინფრასტრუქტურის ნაწილში) შესაბამისობის უზრუნველყოფის მხარდაჭერას, მათ დაფინანსებას მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის, დაწესებულებების შენობაში ან/და ეზოში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინვენტარით აღჭურვას, შენობებში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობა/ აღჭურვას, დაწესებულებების გაზიფიცირება/ საწვავის/ბრიკეტების/შეშის შესყიდვას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზემოხსენებული ხელშეკრულების თანახმად, დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული შესაბამისი ფინანსური რესურსი გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის, მიზნობრივი ტრანსფერის გადაცემის გზით

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე